– … აი, 110 მეტრზე თარჯრბენის ფინიშიც. ეს არის ბედნიერი წუთები, როცა ყველა მეტოქეს ჩამოიტოვებ და მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწი ამაოდ არ ჩაგივლის. დიახ, ამ წუთის შემდეგ ა. მოშიაშვილი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგება.

გუნდი განსაცდელშია. სწორედ ახლა სჭირდებათ მოთამაშეებს მწვრთნელის გონივრული რჩევა-დარიგება, შეჯიბრების კოდექსის თანახმად კი უბრალო კარნახიც დაუშვებელია. მაგრამ ჩვენი ხელბურთელი ვაჟების უფროს მწვრთნელს ჯ. ბაგრატიონს ახლა კოდექსი კი არა, მხოლოდ მატჩის ბედი აინტერესებს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1971 წ.
№ 168 (4418)
22 აგვისტო,
კვირა.
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ახალი ამბები

● **კოპენჰაგენი, 20 აგვისტო.** მხოლოდ სამი სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები გამოვლენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალებში შვიდივე კლასის ნავებით. წინასწარი შეჯიბრებებისა და სანუგეშო სერიების შემდეგ მედლების პრეტენდენტთა რიცხვი საგრძნობლად შეთხელდა. საბჭოთა რვაადგილიანმა ნავმა მესამე სანუგეშო სერიაში I ადგილი დაიკავა — ჩამოიტოვა ჰოლანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიისა და ფინეთის გუნდები. ნახევარფინალში ასევე სანუგეშო შეჯიბრების შემდეგ მოხვდა ი. მალიშევი. ფინალური რბოლები 22 აგვისტოს გაიმართება.

● **უჟგოროდი, 20 აგვისტო.** შვეიცარიის „პლენპალეს“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა უჟგოროდსა და მუკაჩოვოში უკრაინის V სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორთან—ამიერკარპატეთის ნაკრებთან გამართა ორი შეხვედრა და ორივე წააგო — 27:53, 31:47.

● **ხარკოვი, 20 აგვისტო.** აქ დამთავრდა ავიამოდელისტთა საკავშირო ჩემპიონატი. „მცირე ავიაციის“ კონსტრუქტორები პირველად ახპარეზობდნენ მფრინავი მოდელების ყველა კლასში (საკორდო, თავისუფლად მფრენი და რადიოსამართავი). დიდი წარმატება ხვდა ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტის ინჟინერს ბ. პაცენკერს, რომელიც ოქროს ორი მედლის მფლობელი გახდა. ოქროს მედლები დაისაკუთრეს, აგრეთვე, მოსკოველმა გ. მარკოვმა, ხარკოველმა გ. მოზირსკიმ, რიბინსკელმა ვ. ანიკინმა და ნაკრებმა ეკიპაჟმა (მოსკოველი ვ. ტიმოფეევი და რიგელი კ. პლოცინი). გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან უკრაინისა და მოსკოვის წარმომადგენლები.

ახალი ამბები

გვყავს თუ არა ჩვენი ჩიჩესტერები?

მართლაც: გვყავს თუ არა სპორტსმენები, რომლებსაც ძალუძთ, ვთქვათ, მარტოდმარტო მოგზაურობა დედამიწის გარშემო იალქნით? ისეთი მოგზაურობანი, როგორიც უკანასკნელ წლებში განახორციელეს საქვეყნოდ სახელგანთქმულმა აფროსნებმა — ინგლისელებმა ფრენსის ჩიჩესტერმა, ალეკ როუზმა, რობინ ნოქს-ჯონსტონმა?

ალბათ გვყავს. მაგრამ ეს რომ ზუსტად ვიცოდეთ, უნდა შევამოწმოთ ეს კანდიდატები მრავალ შეჯიბრებაში, სადაც მონაწილენი წააწყდებიან იმ სიძნელეთა თუნდაც ნაწილს, რომლებიც ადამიანთა ხვედრია ხანგრძლივ და უძნელეს მოგზაურობებში.

ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებად შეიძლება დავასახელოთ საკრეისერო იახტების საკავშირო რბოლა, რომელიც წლეულს მეორედ ჩატარდა (მისი დებიუტი შარშანდელ სეზონში შედგა).

უფრო ადრე გაიმართა ამ რბოლის ეგრეთ წოდებული „საზღვაო“ ნაწილი მარშრუტით ლენინგრადი — რიგა (შარშან საზღვაო რბოლა არ ჩატარებულა), სულ ახლახან კი დამთავრდა მისი „სამდინარეო“ ნახევარი.

სხვადასხვა ტიპის ნავებით მოასპარეზე მონაწილეებმა 8 რბოლა ჩაატარეს ვოლგაზე: ერთი ჩებოქსარიდან ყაზანამდე, მეორე — ყაზანიდან ულიანოვსკამდე და მესამე — ულიანოვსკიდან ტოლიატამდე.

ამ 500-კილომეტრიანი დისტანციის სამივე ეტაპი მოიგო გორკის „ხუთიანის“ (5,5 კლასის ნავი) ეკიპაჟმა მესაჭე ა. იაკოვლევის მეთაურობით, რომელიც გამოდიოდა წარსულში ცნობილი აფროსნის, საერთაშორისო შეჯიბრებათა პრიზიორის, მოსკოველი კ. ალექსანდროვის „დრუჟბაზე“.

აბსოლუტურ წარმატებას მიაღწია, აგრეთვე, პერმელმა ბ. გილევმა, რომლის ნავი გამოდიოდა ფალბოტების ჯგუფში. სხვათა შორის, გილევის ეკიპაჟმა შარშან გაიმარჯვა საკრეისერო იახტების საკავშირო რბოლაში.

2-2 I ადგილი და ერთი II დაიკავეს სხვა თანრიგებში ულიანოვსკელებმა ბ. ზახაროვის ხელმძღვანელობით „ურჩხულზე“ და სარატოველებმა ნ. არეფიევის მეთაურობით უკლასო იახტებზე — „ლადათი“.

სპორტსმენებს თავიანთი ნავები მიზნისკენ მიჰყავდათ დღით და ღამით, მათ გზად ხვდებოდათ უქარო ამინდიც და ძლიერი ქარიც...

ამ რბოლის მონაწილეებს მოუხდათ რამდენიმე ამოცანის გადაჭრა მათი რიცხვიდან, რომლებიც დედამიწის გარშემო მოგზაურობისას ხვდებათ ხოლმე სპორტსმენებს. ესე იგი დასაწყისი არის.

ვ. ბაბკინი.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

მოსკოვი, 20 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ 23-ე ტირაჟი. აი, ექვსი ბედნიერი ნომერი: 3 (აკრობატიკა), 4 (მთამსვლელობა), 35 (სპიდვეი), 40 (ტურიზმი), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი).

[illegible]

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19 45

◆ **კატოვიცე, 21 აგვისტო.** ტალინელი ლეიუსი და თბილისელი მეტრეველი პოლონეთის ჩემპიონის სახელისთვის შეხვდებიან ერთმანეთს. ამ ქალაქის ჩოგბურთო კორტებზე მიმდინარე ევროპული ღია ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრებში ლეიუსმა სძლია როდრიგესს (საფრანგეთი), ხოლო მეტრეველმა — რიბარჩიკს (პოლონეთი). „საბჭოური“ იქნება ქალთა ერთეულების თანრიგის ფინალიც: ბირიუკოვა (ბაქო) — მოროზოვა (მოსკოვი). ბაქოელმა ნახევარფინალში დაამარცხა ვახოვიჩი (პოლონეთი), ხოლო მოსკოველმა — ასევე მასპინძელი კრალი. ვაჟთა წყვილების ნახევარფინალისტები გახდნენ მეტრეველი — ბაქოელი ლიხაჩოვი, აგრეთვე, პოლონელები გონშორეკი — ნოვიცკი.

◆ **სიტარდი, 21 აგვისტო.** ჰოლანდიის ამ პატარა ქალაქში გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში ელენ ტიტელმა (გფრ) 1 მილზე (1609 მ) რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.36,8. ეს შედეგი 1,4 წამით უკეთესია ჰოლანდიელი მ. გომერსის მიერ 1969 წელს დამყარებულ რეკორდზე. ამ მიღწევამ ნუგეში მოუტანა ლევერკუზენის ფიზკულტურის კოლეჯის სტუდენტს, 23 წლის ტიტელს ჰელსინკში უხეიროდ გამოსვლის შემდეგ: იქ ამ ყველაზე ტანმორჩილმა მორბენალმა (მსოფლიოში საუკეთესოთა შორის) 1500 მეტრზე რბენაში მხოლოდ III ადგილი დაიკავა.

◆ **ტურკუ, 21 აგვისტო.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია არმიელ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირმა. კ.-პ. ჰიონიგმა (გფრ) წლევანდელი ევროპული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში — 63,24 მ. მან ჩამოიტოვა ძლიერი ამერიკელი მტყორცნელი ტ. ვოლმერი — 58,24 მ. სამხტომში ყველას აჯობა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ნ. პრუდენსიომ (ბრაზილია) — 16,33 მ. ფინელმა ტ. კანტანენმა ყველაზე სწრაფად გაირბინა 3000 მ დაბრკოლებებით — 8.35,4. ამერიკელმა ბ. ვილქელმა 19,34 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.



ამ სურათზე ცნობილ ქართველ მწვრთნელს ვ. კუხიანიძეს მისთვის უჩვეულო ამპლუაში ვხედავთ. საჭიდაო ხალიჩა მას ამჯერად კინოკამერით შეუცვლია.

ნ. მუსხელიშვილის სახელობის მწვერვალი

მთამსვლელთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები, სპორტის ოსტატ ნ. ნადირაშვილის ხელმძღვანელობით რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ავიდა კავკასიონის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე სოფელ ბეჩოს რაიონში. მწვერვალის სიმაღლე 3.500 მეტრია.

მთამსვლელებმა გადაწყვიტეს დაპყრობილ მწვერვალს მიაკუთვნონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახელი მისი დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად. (საქდესი).

ჩემპიონი მოწოდების სიმაღლეზეა

ლონდონი, 20 აგვისტო. კოშკიდან წყალში ხტომაში ევროპისა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ჩეხოსლოვაკიელმა მილენა დუხკოვამ „თავის“ იარაღზე ევროპის თასი მოიგო — 343,08 ქულა. ბოლო სამი საფინალო ნახტომის საუცხოოდ შესრულებით მან ჩამოიტოვა გდრ-ის წარმომადგენელი ს. ფიდლერი (339,57) და შვედელი უ. კნაპე (321,30). საბჭოთა სპორტსმენებმა — მოსკოველმა ნ. კუზნეცოვამ და ლვოველმა ტ. შტირიოვამ შესაბამისად V (311,85) და VI (309,70) ადგილები დაიკავეს.

ტრამპლინზე ვაჟთა შეჯიბრებაში ხუთი ნახტომის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი კ. დიბიასი (იტალია) — 201,63 ქულა. მისი უახლოესი მდევრები არიან მოსკოველები ვ. სტრახოვი (200,55) და ვ. ვასინი (196,80).

ჩვენი საზოგადოებრივი კორესპონდენტი...

ფიზკულტურის კოლექტივები

ოჩამჩირელი რენცო ჭედიას პირველი ინფორმაცია ჩვენს გაზეთში ოთხი წლის წინათ დაიბეჭდა: რაიონის საფეხბურთო გუნდის „დინამოს" საუკეთესო ბომბარდირი თავის მეგობრებზე იწერებოდა...

მაგრამ წერილებს იგი საქმითაც უმაგრებდა საფუძველს. მალე გუნდი (ჭედიას აქტიური მონაწილეობით) აფხაზეთში უძლიერესი გახდა და საქართველოს პირველობის საგზურიც მიიღო. 16 წელი მოახმარა ფეხბურთს ჭედიამ (იგი ახლა 29 წლისაა) და „პენსიაში" გავიდა...

ყოველივე ეს, რომ იტყვიან, ძალით გამოვგლიჯე: მას არ უყვარს თავისთავზე ლაპარაკი. სამაგიეროდ, აი, რა გავიგე მისი ამხანაგებისგან: როცა რენცო არმიიდან დაბრუნდა, მას „სარფიანი" სამუშაო შესთავაზეს — ფარდულის გამგეობა. ნახევარი წელი იმუშავა ჭედიამ, შემდეგ კი... გაიქცა. მისმა სპორტულმა სულმა არ მოისვენა და იგი მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად მოეწყო.

რედაქციაში შეწყდა მისი წერილების მოსვლა. მაგრამ ეს გასაგებიც გახლდათ: ჭედიას ცხარე დღეები დაუდგა...

საბჭოთა მეურნეობას კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს: სამი წელიწადია იგი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეა და დაჯილდოებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო წითელი დროშით.

აქ საჭიროა სპორტიც მაღალ დონეზე იდგეს. ჭედიამ „მოხუცი" ფეხბურთელების შეჯიბრებით დაიწყო. შემდეგ ჭაბუკებმა და ვეტერანებმაც საერთო ძალით შეუტიეს ფეხბურთის მინდორს — მისი კეთილმოწყობა დაიწყეს.

ახლა საბჭოთა მეურნეობაში რეგულარულად მუშაობს 7 სექცია, ხოლო ახლახან მერვეც — ბადმინტონის სექცია შეიქმნა. ამ სახეობაში უკვე შეძლეს შეჯიბრების გამართვა, და, რა თქმა უნდა, გამარჯვება სექციის ხელმძღვანელს, 21 წლის ზეინკალს გ. მევჩენკოს ხვდა.

ყველაზე მასობრივია ფრენბურთის სექცია. მას აგრონომი ა. ფადავა ხელმძღვანელობს. 30 წელს გადააბიჯა მეორე აგრონომმა მ. შენგელიამაც, მაგრამ ტყავის ბურთს როდი ჩამოშორდა: ფეხბურთელებს ავარჯიშებს. საბჭოთა მეურნეობაში ხშირად იმართება მინი-ფეხბურთის მატჩები. მონაწილეთა ასაკი ათიდან... 50 წლამდეა. შარშან მეურნეობის ფეხბურთელთა და სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების შეხვედრაზე მთელი სოფელი შეიყარა. მართალია, მასპინძლებმა მატჩი წააგეს (0:1), სამაგიეროდ, გამოცდილება შეიძინეს და ბევრი მეგობარიც გაიჩინეს საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

მეურნეობის მშრომელებს სპორტი ხდის ძლიერებად, მოხერხებულებად და... მომთხოვნებად.

ჩვენთან საუბარში ჭედიამ ხუმრობით აღიარა, რომ დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე შრომობს. 12 საათი დღეში! და ეს ტყუილი როდია. დედამისი გაჯავრებულია, შვილს იშვიათად რომ ხედავს და მკითხა: ბოლოს და ბოლოს როდის შეირთავს ცოლსო?!

... გულს უხარია, როცა ჭედიას კაბინეტში შედიხართ. აქ ნახავთ საინტერესო ფოტოსტენდებს, მეთოდური სახელმძღვანელოების კუთხეს, ალბომს, უახლესი სპორტული ამბების სტენდს.

ვინ ეხმარება მას ამაში?

მეურნეობის დირექტორ დ. ბიგვავადან, ბრიგადირ ი. მანჯგალაძიდან (იგი წლეულს პირველთანრიგოსანი მოშაშე გახდა), მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჩიხუადან დაწყებული, მუშა ი. სემენჩუკით დამთავრებული, ყველანი მხარში უდგანან ჭედიას. ასეთი აქტივით მეურნეობაში შეიძლება წლის მანძილზე 10-11 შეჯიბრება მოაწყო. საამისოდ კი საჭიროა ბევრი იცოდე და აი, აქ ეხმარება ჭედიას თავისი სპორტული ბიბლიოთეკა. ათეულ წიგნებს შორის შევამჩნიე: „საჭადრაკო შემოქმედების ფსიქოლოგიის შესახებ", „საექიმო კონტროლი და სამკურნალო ფიზკულტურა" და გილმორის მოდური წიგნი „რბენა სიცოცხლისთვის".

დიახ, ასეთი ბიბლიოთეკა შეშურდებოდა დედაქალაქის რომელიც გნებავთ სპორტულ მუშაკს! და ეს იმ დროს, როცა ჭედიას სპეციალური ფიზკულტურული განათლება არც კი აქვს...

მეურნეობის სპორტსმენები საკუთარ წვენში როდი იხარშებიან: მათ ხშირად ნახავთ რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მეურნეობის მოჭიდავენი უძლიერესნი არიან „კოლმეურნის" აფხაზეთის საბჭოს ხაზით, III ადგილი აქვთ ლელობურთელებს, ხოლო IV — ფეხბურთელებს.

სწორედ ეს გაზრდილი საშეჯიბრებო დატვირთვებია არც თუ მსხვილი მეურნეობის სპორტული წარმატებების წყარო. ტყუილად როდია ეს კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესო საქართველოში.

ჭედია ბავშვებთან მუშაობასაც ახერხებს. მან დაიმსახურა ოჩამჩირის კომკავშირის რაიკომის სიგელი იხოს გუნდის „თოლიას" კარგად მომზადებისთვის. მისი ჭაბუკი მძლეოსნები — 12 წლის ფ. ჩუნტიშვილი და ქ. დოგანოღლი წლეულს საქართველოს პირველობის პრიზიორები გახდნენ სოფლის სკოლებს შორის. ისინი საგანგებო მეთვალყურეობით არიან გარემოსილი.

... ფიზკულტურელი მეურნეობაში ახლა ბევრი არ არის — 211. მაგრამ დარწმუნებული ვართ, უახლოეს მომავალში მათი რიცხვი გაიზრდება. და აი, რატომ: მეურნეობის იუბილეს აღსანიშნავად (წლეულს მას 40 წელი უსრულდება) ხელმძღვანელობამ არ დაიშურა 100 ათასი მანეთი გამოიყო სტადიონის მშენებლობისთვის. სამართლიანად ითვლებიან მეურნეობის დირექტორი დ. ბიგვავა და პარტიული კომიტეტის მდივანი პ. ჭახნაკია ფართო მასშტაბის მუშაკებად. მათ შესანიშნავად ესმით, რომ სტადიონი არა მარტო მეურნეობის მშრომელებს შეუწყობს ხელს დასვენებასა და ჯანმრთელობის გაკაჟებაში, არამედ მეზობელი ექვსი სოფლის მშრომელებსაც დაეხმარება. მხოლოდ ასე ესმით მათ დევიზი: „თავად ისწავლე, სხვასაც ასწავლე!".

მეგობრობა, რომელიც ამ მეურნეობაში ვნახე, მომავალი კომუნისტური საზოგადოების აშენების მოქმედი კომპონენტია. სხვანაირად აქ არც შეუძლიათ. რ. ჭედიასაც არ შეუძლია სხვანაირად იცხოვროს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი კორესპონდენტი მალე სასიხარულო ცნობას მოგვაწვდის: „სტადიონის მშენებლობა დაიწყო".

ვ. ზუკინი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. მოქვი,
ოჩამჩირის რაიონი.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი ო. მურვანიძე გვატყობინებს

დაუზარებლად

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე თუ შეივლით, ყოველ დილით ნახავთ ნორჩ მძლეოსნებს, რომლებიც თავიანთი მწვრთნელების ხელმძღვანელობით გულმოდგინედ მეცადინეობენ: ზოგი შუბს ტყორცნის, ზოგი მაღლა გადებულ თამასას უტევს, სხვები რბენის ტექნიკას ხვეწენ...

მწვრთნელები თავიანთი აღსაზრდელების ყოველ მოძრაობას გულისყურით ადევნებენ თვალს, რათა არ გამოეპაროთ ხარვეზები და ძირშივე ამოძირკვონ უხეიროდ შესრულებული ილეთი. ამიტომაა, რომ ხშირად გაიგონებთ შეძახილს: „არ ვარგა, თავიდან!". და სპორტსმენებიც დაუზარებლად უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას, კვლავ აშალაშინებენ ამა თუ იმ მოძრაობას.

აქ საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელები.

ჩვენმა მძლეოსნებმა ახლახან დამთავრებულ საკავშირო სპარტაკიადაში ვერ გაამართლეს გულშემატკივართა იმედები. იმისთვის, რომ მომავალ შეჯიბრებებშიც არ შევირცხვინოთ თავი, არ ჩამოვრჩეთ თანამედროვე მძლეოსნობაში მომხდარ თვალსაჩინო ძვრებს, თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭიროთ.

აი, რა თქვა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, სპორტის ოსტატმა რ. გოგეშვილმა.

— ჩვენი სპორტსკოლა თბილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული. მათ შორის რამდენიმე გამობრძმედილი სპორტსმენია, უმეტესობა კი ახალბედა გახლავთ.

ჩვენებმა — სპორტის ოსტატმა ხრიპკომ, ოსტატობის კანდიდატებმა პრეჩნოვმა, ვლასოვმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ლაბაძემ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაშიც კი მიიღეს მონაწილეობა.

ამ სპორტსმენებს გარდა, ჩვენ გვყავს სხვა ნიჭიერი მძლეოსნებიც, რომლებიც ალბათ სულ მალე გავლენ დიდ ასპარეზზე. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: ესებუა, ისვალოვსკი, დები ლოლაძეები...

საწვრთნელი შეკრება ბათუმში მეტად სასარგებლო ღონისძიება გახლავთ. რაც შეეხება ვარჯიშის პირობებს, რა თქმა უნდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის: სპორტის აჭარულმა მესვეურებმა წვრთნისა და აქტიური დასვენების შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს.

ანკესებით ჩაქვისწყალზე

ბევრი საინტერესო ასპარეზობა მიუძღვნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს აჭარის სპორტის მესვეურებმა, მაგრამ ყველაზე მიმზიდველი მაინც თევზაობაში შეჯიბრება გახლდათ.

ამ დღეს დილის 9 საათზე ქალაქის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა დიდმა ჯგუფმა მანქანებით გეზი ჩაქვისკენ აიღო. ანკარა ჩაქვისწყალში სტარტი მიეცა „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს ჩემპიონატს თევზჭერაში.

საზოგადოების ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი, ტყავის, სარეცხი მანქანების, ელექტრომექანიკური, ელექტროხელსაწყოების ქარხნების, აგრეთვე, მე-5 სამშენებლო ტრესტისა და ხისდამამუშავებელი კომბინატის წარმომადგენლები.

თითოეული გუნდის შემადგენლობაში 7 კაცი და 3 ქალი იყო.

11 საათზე ჩაქვისწყალში ერთდროულად 70-ზე მეტმა სპორტსმენმა ჩაუშვა ანკესი.

როცა შეჯიბრება დამთავრდა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა შ. მამინაშვილმა გამოაცხადა, რომ ყველაზე მეტი კალმახი და წვერა დაიჭირა შარშანდელმა ჩემპიონმა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. კურტანიძე) გუნდმა.

II ადგილზეა გემთმშენებელი ქარხნის ნაკრები, III — ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი.

პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

ალექსანდრია — ლაზარევიჩი 2,5:1,5

ბლადელი, 20 აგვისტო. გუშინ აქ შედგა ორთაბრძოლის IV პარტია, რომელშიც ალექსანდრია თეთრებით თამაშობდა. დებიუტში მან უპირატესობა მიიღო, მაგრამ შემდგომ უხეიროდ თამაშობდა და უხეში შეცდომაც დაუშვა. როცა ლაზარევიჩმა 39-ე სვლა გააკეთა, ალექსანდრიამ საათი გააჩერა.

დღეს მეტოქენი საჭადრაკო მაგიდას მიუსხდნენ გუშინწინ გადადებული III პარტიის დასამთავრებლად. ამ პარტიაში თავდაპირველად უპირატესობა საბჭოთა მოჭადრაკეს ჰქონდა, მაგრამ მას ლაზარევიჩის მოულოდნელი სვლა გამორჩა და მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა. ბრძოლა ორმხრივ ცაიტნოტში გაგრძელდა. ალექსანდრიამ თავდადებული დაცვით თამაში გაამწვავა. ლაზარევიჩს შეეძლო მუდმივი ქიშით ყაიმისთვის მიეღწია, მაგრამ მან თამაში არჩია. ბოლოს, როცა ვნებათა ღელვა მიწყნარდა, პარტია ქართველი მოჭადრაკისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო. დღეს განახლებულმა ბრძოლამ მთელ საღამოს გასტანა. 105-ე სვლაზე იგი ყაიმით დამთავრდა.

V პარტია 22 აგვისტოს გათამაშდება.

• • •

ნ. ალექსანდრიას ბლადელში ახლავს მწვრთნელი — დიდოსტატი ბ. გურგენიძე. აი, რა გადმოსცა მან გაზეთ „სოვეტსკი სპორტს" „ბრძოლის ველიდან":

მატჩი ბლადელის რატუშის შენობაში მიმდინარეობს. ვცხოვრობთ კი აქედან 30 კილომეტრის დაშორებით. საინტერესო იყო მატჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. მთავარი მსაჯის — საერთაშორისო არბიტრის დე გრააფის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ორი ერთნაირი გრაფინი შემოიტანეს. გვითხრეს, კენჭისყრა ამით ჩატარდებაო. გამოიძახეს ლაზარევიჩი. მან ერთ-ერთი გრაფინი ამოარჩია. როცა ამ გრაფინში სითხე ჩაასხეს, იგი თეთრი დარჩა, ნანას გრაფინში ჩასხმული სითხე კი გაშავდა. ამიტომ I პარტიაში თეთრი ფიგურებით იუგოსლაველი თამაშობდა. ეს კენჭისყრა მედიკამენტების ფაბრიკის მთავარი ქიმიის ფანტაზიის ნაყოფი იყო. სხვათა შორის, მატჩს სწორედ ეს ფაბრიკა აფინანსებს.

იგრძნობა, რომ ნანას სულ უფრო უმტკიცდება საკუთარი ძალის რწმენა, რაც უწინ ასე აკლდა გამოცდილ იუგოსლაველ მეტოქესთან შეხვედრებში. სწორედ ამის გამოა, რომ ნანა თითქმის არ ექცევა ცაიტნოტში, გრძელ ვარიანტებსაც ბოლომდე არ ანგარიშობს, — ინტუიციას ენდობა. ყოველივე ეს კარგად ჩანს II პარტიაში.

კუშნირი — ზატულოვსკაია 3:0

მინსკი, 20 აგვისტო. დღეს კუშნირმა და ზატულოვსკაიამ დაამთავრეს წინადღით გადადებული III პარტია. კუშნირმა კარგად მიაგნო უპირატესობის რეალიზაციის გეგმას და მესამე გამარჯვება იზეიმა.

იშვიათი შეხვედრა.

ჟ. და კ. კოსტოვების ფოტო (სოფია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგნოზები და სინამდვილე

მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ პოლონურმა გაზეთმა „სპორტმა“ (კატოვიცე) მოაწყო ანკეტა: კონტინენტის საუკეთესო სპეციალისტებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი მომავალ გამარჯვებულთა შესახებ.

ჩემპიონატი დამთავრდა. მძლეოსნობის მოყვარულთათვის ალბათ საინტერესო იქნება, რამდენად გამართლდა სპეციალისტთა პროგნოზები.

ვაჟები

	პროგნოზი	სინამდვილე
100 მ	ბორზოვი (სსრკ)	ბორზოვი
200 მ	ბორზოვი	ბორზოვი
400 მ	ჯენკინსი (ინგლისი)	ჯენკინსი
800 მ	არჟანოვი (სსრკ)	არჟანოვი
1500 მ	არეზე (იტალია)	არეზე
5000 მ	ბედფორდი (ინგლისი)	ვიაიატაიაინენი (ფინეთი)
10000 მ	ბედფორდი	ვიაიატაიაინენი
110 მ თარჯრბენი	ნადენიჩეკი (ჩეხოსლოვაკია)	ზიბეკი (გდრ)
400 მ თარჯრბენი	ნალე (საფრანგეთი)	ნალე
3000 მ დაბრკოლებ.	ჟელევი (ბულგარეთი)	ვილენი (საფრანგეთი)
მარათონი	ჰილი (ინგლისი)	ლისმონი (ბელგია)
სიმაღლე	დალგრენი (შვეცია)	შაპკა (სსრკ)
სიგრძე	პანი (საფრანგეთი)	კლაუსი (გდრ)
ჭოკი	ნორდვიგი (გდრ)	ნორდვიგი
სამხტომი	სანეევი (სსრკ)	დრემელი (გდრ)
ბადრო	ბრუხი (შვეცია)	დანეკი (ჩეხოსლოვაკია)
შუბი	ლუსისი (სსრკ)	ლუსისი
ბირთვი	ბრიზენიკი (გდრ)	ბრიზენიკი
ურო	ბონდარჩუკი (სსრკ)	ბაიერი (გფრ)
ათჭიდი	ბენდლინი (გფრ)	კირსტი (გდრ)
20 კმ სიარული	ფრენკელი (გდრ)	სმაგა (სსრკ)
50 კმ სიარული	ჰიონე (გდრ)	სოლდატენკო (სსრკ)
4X100 მ ესტაფეტა	გფრ	ჩეხოსლოვაკია
4X400 მ ესტაფეტა	პოლონეთი	გფრ

ქალები

100 მ	შტეჰერ-მაისნერი (გდრ)	შტეჰერ-მაისნერი
200 მ	შევინსკა (პოლონეთი)	შტეჰერ-მაისნერი
400 მ	ბესონი (საფრანგეთი)	ზაიდლერი (გდრ)
800 მ	ფალკი (გფრ)	ნიკოლიჩი (იუგოსლავია)
1500 მ	ფლაინაუ (გდრ)	ბურნელაიტი (გდრ)
100 მ თარჯრბენი	ბალცერი (გდრ)	ბალცერი
სიმაღლე	გუზენბაუერი (ავსტრია)	გუზენბაუერი
სიგრძე	როზენდალი (გფრ)	ბეკერ-მიკლერი (გფრ)
ბადრო	მელნიკი (სსრკ)	მელნიკი
შუბი	რანკინე (უნგრეთი)	იავორსკა (პოლონეთი)
ბირთვი	ჩიჟოვა (სსრკ)	ჩიჟოვა
ხუთჭიდი	პოლაკი (გდრ)	როზენდალი (გფრ)
4X100 მ ესტაფეტა	გდრ	გფრ
4X400 მ ესტაფეტა	გდრ	გდრ

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

დუბლიორთა შემადგენლობანი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	21	14	5	2	49—22	33
ცსკა	24	10	9	5	29—21	29
„დინამო“ (კიევი)	22	10	7	5	34—20	27
„შახტიორი“ (დონეცკი)	20	10	7	3	27—19	27
ასა (დონის როსტოვი)	18	10	6	2	27—11	26
„კარპატი“ (ლვოვი)	22	5	10	7	25—34	20
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	18	8	3	7	30—24	19
„არარატი“ (ერევანი)	19	7	5	7	23—19	19
„დინამო“ (თბილისი)	19	8	3	8	23—24	19
„ქაირატი“ (ალმა-ათა)	22	6	5	11	24—30	17
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	19	5	6	8	24—30	16
„ტორპედო“ (მოსკოვი)	18	6	3	9	28—36	15
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	20	5	5	10	22—33	15
„დინამო“ (მინსკი)	20	3	8	9	19—28	14
„ფახტაკორი“ (ტაშკენტი)	20	5	3	12	22—47	13
„ნეფთჩი“ (ბაქო)	19	3	5	11	15—25	11

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

სპარტაკიადა გრძელდება

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შეჯიბრებები გრძელდება ყველგან. მიმდინარეობს იგი ბუკოვინაშიც.

ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ შევიდა კარპატის ამ რაიონის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სულ სასპარტაკიადო შეჯიბრებებში აქ მონაწილეობა მიიღო 300 ათასამდე კაცმა, ესე იგი ოლქის ყოველმა მესამე მცხოვრებმა, ამასთან 26 ათასზე მეტმა კაცმა აჩვენა სათანრიგო შედეგები, შვიდმა კი შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

უკრაინის სპარტაკიადაზე ბუკოვინის გუნდმა ყველაზე კარგ შედეგებს მიაღწია ჭიდაობაში, კრივში, ცურვაში, მძლეოსნობაში. ოლქი ამაყობს ახალგაზრდა მოჭიდავე ნ. რუსნაკით, რომელიც უკრაინისა და სსრ კავშირის სპარტაკიადების ჩემპიონი გახდა, რესპუბლიკური სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორები გახდნენ მოცურავე ე. ვებერი, მოკრივე ვ. სტეტიუკი და სხვ.

ა. კოტლიარენკო.
(საკდესის კორ.).

ჩერნოვცი.

შვედური შთაბეჭდილებები

ნონა გაფრინდაშვილი 1968 წელსაც სტუმრობდა შვეციის ქალაქ გეტებორგში. იგი მონაწილეობდა ამ ქვეყნის გამოჩენილი საჭადრაკო მოღვაწის ერიკ ოლსონის მემორიალში. ეს იყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ნონამ III ადგილი დაიკავა. მასპინძლებმა კვლავ მიიწვიეს ჭადრაკის დედოფალი, ამჯერად გეტებორგის 350 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში საპაექროდ.

ტურნირს დიდი რეზონანსი ჰქონდა, რაკი მასში მსოფლიოს ორივე ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და ბ. სპასკი მონაწილეობდნენ.

ამას წინათ ნონა სამშობლოში დაბრუნდა. ახლა იგი წყნეთში ისვენებს ოჯახით. ჩვენი საუბარი ართობს ჭადრაკის დედოფლის პირმშოს დათო ჭიჭინაძეს (იხ. სურ.), რომელიც მალე ერთი წლის გახდება. როცა პატარა ძილს მიეცა, ნონას მაინც არ ჰქონდა მოცლა: დიასახლისს საქმეს რა გამოულევს!

— რაც შვეციიდან დავბრუნდი, ამ დღეში ვარ, — იცინის ნონა. — ჭადრაკისგან უკეთეს დასვენებას ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მირჩევდა.

გთავაზობთ ჭადრაკის დედოფლის ნაამბობს.

თ. გიორგაძე.

— მასპინძლებმა საუცხოოდ მოაწყვეს ტურნირი. საორგანიზაციო კომიტეტში თვით ფიდე-ს საპატიო პრეზიდენტი ფოლკე როჯარდიც შედიოდა. დაგვახვედრეს საიუბილეო ტურნირის პროგრამა, რომელშიც ბევრ საინტერესო ცნობასთან ერთად მონაწილეთა სურათებიც დაებეჭდათ. ერთი, რაც ყველას გვაწუხებდა, თამაშის მძიმე რეგლამენტი იყო: ტურნირი 12 დღეში უნდა დაგვემთავრებინა, ესე იგი 12 მონაწილეს ყოველდღე უნდა გვეთამაშა. დილაობით წინადღით გადადებულ პარტიას ოთხ საათს ვამთავრებდით, საღამოობით კი მორიგი ტური, როგორც საერთოდაა მიღებული, ხუთ საათს გრძელდებოდა. დასვენებას მხოლოდ ერთი დღე დაეთმო.

რეგლამენტისგან ყველაზე მეტად ალბათ მე და ხანდაზმული ისრაელელი ოსტატი ჩერნიაკი დავზარალდით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჩემს პრაქტიკაში არნახული საშინელი შეცდომა დავუშვი: ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ჰორტს უკეთეს პოზიციაში ლაზიერი დავუსვი.

სხვათა შორის, უცხოეთში ტურნირებს თითქმის მუდამ ასეთი რეგლამენტით ატარებენ. იგი გარკვეულად იძლევა სახსრების ეკონომიას და მოჭადრაკეებს აიძულებს, როგორც იტყვიან, „თავისი ტვინით“ ითამაშონ: ანალიზის დრო თითქმის არ რჩება.

ტურნირის შედეგები მოულოდნელიც იყო. არავინ ელოდა სპასკის შედარებით წარუმატებლობას.

აი, საბოლოო შედეგები: I-II. უ. ანდერსონი (შვეცია), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 8,5-8,5, III. ბ. სპასკი — 8, IV. ლ. საბო (უნგრეთი) — 6,5, V. ო. რომანიშინი (სსრ კავშირი) — 6, VI. ა. პომარი (ესპანეთი) — 5,5, VII. ნ. გაფრინდაშვილი — 5, VIII-IX. ი. ბილეკი (უნგრეთი), ო. კინმარკი (შვეცია) — 4-4, X-XI. ლ. ლილიენდალი (შვეცია), მ. ჩერნიაკი (ისრაელი) — 3,5-3,5, XII. გ. იანსონი (შვეცია) — 3.

ჩემი პირადი შედეგები კი ასეთია: მოვიგე კინმარკს, ჩერნიაკს, რომანიშინს, ლილიენდალს, ყაიმით დავამთავრე შეხვედრები პომართან და ბილეკთან. დანარჩენი პარტიები წავაგე.

ერთი ადგილით მაღლა მაინც უნდა ვყოფილიყავი, სპასკისთან, საბოსთან და ჰორტთან ჩემი პარტიები ლოგიკურად რომ დამთავრებულიყო. ამ პარტიებში საქმე ცუდად როდი მქონდა. აი, მაგალითად, პარტია სპასკისთან.

გაფრინდაშვილი — სპასკი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. h3 0—0 9. c3 მb8 10. d3 მbd7 11. მbd2 კb7 12. მf1 მc5 13. კc2 ეe8 14. მg3 კf8 15. b4 მcd7 16. კb3 h6 17. a4 c5 18. ლc2 d5 19. ed მ:d5 20. ლa2 c4 21. dc მ:c3 22. ლc2 ba 23. ლ:c3 cb 24. კb2 ლb6 25. c5 ლe6 26. მ:e5 მ:e5 27. ე:e5 ლ:e5 28. ლ:e5 ე:e5 29. კ:e5 a5 30. ba კ:c5 31. მf5 ეe8 32. კd4 კe4 33. კ:c5 b2 34. ეe1 ეb8 35. მe7+ მფh7 36. კb6 b1ლ 37. ე:b1 კ:b1 38. f3 კd3 39. მფh2 ეe8 40. მd5 ეe1 41. მფg3 ეa1 42. h4 კc4 43. მe3 კa6 44. მd5 კb7 45. მe3 მფg6 46. მc4 f6 47. მd6 კa6 48. მe8 ეa2 49. h5+ მფf7 50. მc7 კf1 51. მფf4 ეa4+ 52. მფg3 კc4 53. მფf4 მფe7 54. მფe5 მფd7 55. g4 ეa3+ 56. მფf2 ეa2+ 57. მფg3 ეa3 58. მფf4 ეb3 59. მფe4 მფc6 60. მფf5 კf7 61. f4 ეb2 62. მფe4 ეe2+ 63. მფf5 ეe7 64. g5 კc4 65. მფg6 fg 66. a6 მფ:b6. თეთრები დანებდნენ.

— ბორისმა მოულოდნელად აირჩია ესპანური პარტიის მოდიდან გამოსული სისტემა და თამაში გაათანაბრა. ნამდვილი ბრძოლა ენდშპილში გვქონდა. უარეს პოზიციაში ხარისხის შეწირვით გამსვლელი პაიკი მივიღე, რამაც ყაიმის რეალური შანსი მომცა. როგორც ჩანს, ეს შანსი ვერ გამოვიყენე. პაიკი მე-7 ჰორიზონტალზე რომ მიმეყვანა, ალბათ სპასკი ვერ მოიგებდა.

ტურნირში სპასკი მონდომებით იბრძოდა, მაგრამ თამაში არ გამოსდიოდა. ყაიმებმა დააბრკოლა მისი წინსვლა. მას ანდერსონმა და ჰორტმა გაუსწრეს. ბოლო ტურში სპასკიმ უდიდესი ენერგიით იბრძოლა ესპანელ დიდოსტატ პომართან და გაიმარჯვა, მაგრამ დაწინაურებულ მეტოქეებს მაინც ვერ დაეწია.

„პირველი ყოველთვის ვერ იქნები“, თქვა ბორისმა. რა თქმა უნდა, ვითარებაში, როცა ფიშერი მის ტახტს ემუქრება, კარგი იყო მას გაემარჯვა. „ფიშერი საუცხოოდ თამაშობს ახლა. მაგრამ პეტროსიანთან მას ძალიან გაუჭირდება გამარჯვება. საბოლოოდ ალბათ მაინც მოუგებს. ჩემი და ფიშერის მატჩი ყველას აინტერესებს. ვფიქრობ, გამარჯვების მეტი შანსი მე მაქვს. მერე კი, იქნებ არ მეპარება, ფიშერს ვერავინ გაუძლებს“. გამიზიარა თავისი ფიქრები სპასკიმ.

სპასკის შემოქმედებისთვის ძალიან დამახასიათებელია მრავალფეროვანი თამაში. აი, როგორ გაანადგურა მან ოვე კინმარკის მეფის პოზიცია. ამ პარტიაში ლამაზი თამაშისთვის ბორისს პირველი პრიზი (120 დოლარი) გადასცეს.

სპასკი — კინმარკი

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. კg5 0—0 5. e3 d6 6. კd3 კ:c3+ 7. bc e5 8. მe2 h6 9. კ:f6 ლ:f6 10. მg3 c6 11. 0—0 d5 12. f4 ed 13. cd ლd6 14. ლf3 მd7 15. cd cd 16. მf5 ლa3 17. ლg4 g6 18. მ:h6+ მფh7 19. მ:f7 ლ:d3 20. f5 ლa6 21. მg5+ მფg8 22. ლh4 მf6 23. fg მფg7 24. მh7. შავები დანებდნენ.

ინფორმაცია

ტურნირში კარგი პარტიისთვის სამი პრიზი იყო დაწესებული. მეორე პრიზი (80 დოლარი) მე მომანიჭეს რომანიშინთან პარტიისთვის, მესამე (40 დოლარი) — ჰორტს — ლილიენდალთან გამარჯვებისთვის.

ჩემს პარტიაში თითქმის არ არის ეფექტური სვლები, მაგრამ იგი პოზიციური პრინციპების თვალსაზრისით ცუდად არ უნდა იყოს ნათამაშევი. 17 წლის ლვოველმა ოსტატმა რომანიშინმა გამოიყენა ინგლისური დასაწყისი — დებიუტი, რომელსაც ხშირად მიმართავდა კუშნირი ჩვენს ბოლო მატჩში. უპირატესობა მე მივიღე. თეთრუჯრედოვან კუთა გაცვლის შემდეგ რომანიშინის მეფის ფრთა ძალიან დასუსტდა. პატარა კომბინაციით ვცადე გადამწყვეტი დარტყმის მიტანა. იგი ბრძოლის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ. რომანიშინმა მატერიალური ზარალი განიცადა და პარტიაც წააგო.

რომანიშინი — გაფრინდაშვილი

ინგლისური დასაწყისი

1. მf3 მf6 2 c4 e6 3. g3 b6 4. კg2 კb7 5. 0—0 c5 6. b3 კe7 7. კb2 0—0 8. მc3 d5 9. ეc1 d4 10. მa4 მbd7 11. d3 ლc7 12. e3 e5 13. ed ed 14. ეb1 კd6 15. კc1 ეab8 16. კd2 ეfe8 17. ეe1 ე:e1+ 18. კ:e1 ეe8 19. h3 კc6 20. კd2 ლb7 21. მh4 კ:g2 22. მ:g2 მe5 23. მe1 ლd7 24. მფg2 ლc6+ 25. მფh2 h5 26. კg5 კc7 27. ეb2 მfd7 28. ეe2 ეe6 29. ლd2 მf3+ 30. მ:f3 ლ:f3 31. ე:e6 fe 32. მb2.



32. ... h4 33. კ:h4 მe5 34. ლe1 ლf5 35. მფg2 ლf3+ 36. მფg1 g5 37. ლc1 gh 38. ლg5+ მფf7 39. ლ:h4 ლf5 40. ლh8 მf3+ 41. მფf1 კe5 42. ლa8 ლ:h3+ 43. მფe2 მg1+. თეთრები დანებდნენ.

შვეციაში დიდი იმედით შეჰყურებენ 20 წლის ულფ ანდერსონს. ამ ჭაბუკს უკვე საერთაშორისო დიდოსტატის ორი ბალი აქვს. ეჭვი არ მეპარება, იგი მალე შევა დიდოსტატთა ოჯახში. ანდერსონი პოზიციური სტილის, უშიშარი მოთამაშეა. საერთოდ, შვედებს რამდენიმე მზარდი მოჭადრაკე ჰყავთ. ჭადრაკის სამყაროში ცნობილია 25 წლის კინმარკი. ალბათ გახსოვთ, მე და მან ჰასტინგსის ოსტატთა 1963-64 წლის ტურნირში I-II ადგილები გავიყავით. კარგ იმედებს იძლევა 24 წლის ლენარტ ლილიენდალი. ბორი იანსონი, პროფესიით პოლიციელი, ჭადრაკს ბევრ დროს ვერ უთმობს, თუმცა უყვარს ნამდვილი ბრძოლა. ჩვენს პარტიაში მან თავიდანვე შეძლო უპირატესობის მიღება და მისი რეალიზებაც მოახერხა. 29 წლის იანსონი შვეციის 1968 და 1970 წლების ჩემპიონია.

როცა თავისუფალი დრო გვრჩებოდა, მონაწილენი ახლოს ვეცნობოდით ერთმანეთს. საინტერესო პიროვნებაა არტურო პომარი. მას 12 წლის ბიჭუნას, ჭადრაკის სიბრძნეს თვით... ალექსანდრე ალიოხინი ასწავლიდა. ეს იყო ომის დროს, როცა მსოფლიო ჩემპიონი ესპანეთში ცხოვრობდა. 61 წლის ისრაელელი ჩერნიაკი კაპაბლანკასა და ალიოხინის მეტოქე ბევრჯერ ყოფილა. ღვაწლმოსილი მოჭადრაკეა ლასლო საბოც. იგი თავის დროზე მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი ძლიერი პრეტენდენტი იყო.

ერთი სიტყვით, გეტებორგის საიუბილეო ტურნირი ალბათ კარგა ხანს არ დაავიწყდებათ მის მონაწილეებს. ჩემთვის იგი მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთან შეხვედრის წინ კარგი სამზადისი იყო. ამიტომ ბრძოლის პროცესში მეტ ყურადღებას შემოქმედებით საკითხებს ვაქცევდი. ძლიერ მეტოქეებთან თავის შემოწმება ყველაზე გონიერ წვრთნად მიმაჩნია. ერთად ხუთ დიდოსტატს უწინ არასოდეს შევხვედრივარ. კმაყოფილი ვარ მათთან თამაშით, თუმცა სპორტული შედეგი შეიძლება უკეთესი მქონოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოფენის ლაურეატები

ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს" რედაქციამ ამას წინათ ჯილდოები გადაეცათ მხატვრული ფოტოგრაფიის V გამოფენაში — „ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა კავშირში" — გამარჯვებულებს. გამოფენა, როგორც ცნობილია, მიეძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას.

ოქროს მედლები და დიპლომები დაიმსახურეს: **ლ. ბოროდულინმა** სურათისთვის „მწვრთნელი" და ფოტოსურათების სერიისთვის „და ... ერთი", **მ. ბოტაშოვმა** სურათებისთვის „ყაიმს გთავაზობ" და „მიხეილ ვორონინი", **ვ. კივრინმა** სურათებისთვის „ორნი" და „სინაზე", **ვ. შანდრინმა** სურათების სერიისთვის „რკინის თამაში" და **დ. დონსკოიმ** სერიისთვის „გოლი".

ვერცხლის პრიზიორი გახდა 7 ფოტორეპორტიორი: **ი. სომოვი** („ვალერი პოპენჩენკო" და „გოლი"), **ე. ვოლკოვი** („სლალომი"), **ვ. შუსტოვი** („მომავალი ჩემპიონები" და „შეხვედრა"), **ი. ტეუში** („გაიმან საიდბუევი" და „რომ გინდოდეს, ვერ მოიგონებ"), **ბ. სვეტლანოვი** („გამარჯვება" და „ნახტომი"), **მ. განკინი** („დან პოზნიაკი — ოლიმპიური ჩემპიონი") და **ვ. უნ და-სინი** („წყლის დაბრკოლება").

ბრინჯაოს მედლები და დიპლომები მიიღეს: **ი. შალამოვმა** („ლამის სტარტი"), **გ. ვაიდლმა** („მფრინავი ჰოლანდიელი"), **ვ. რიხტერმა** („იუბილარი"), **ს. ლუგენბერგმა** („კარუსელი"), **ა. ბოჩინინმა** („მარჯვე ნახტომი" და „სტარტის წინ"), **ვ. ახლომოვმა** (სერიისთვის „მეკარეები"), **ხ. ლიდოვმა** („ფინიშისკენ" და „როცა ლიდერი არ არის"), **ა. პტიცინმა** („ბაიდარაზე" და „გულშემატკივრები"), **ი. პოლიგალოვმა** („წყნარად, ბიჭებო" და „მოცურავე"), **ი. მორგულისმა** („უდავო ბურთი").

დიპლომებითა და სამახსოვრო მედლებით დაჯილდოვდნენ **ბ. კუზმინსკი, ი. დოლიაგინი, ე. უსპენსკი, ი. უტკინი, ვ. ანიპჩენკო, ვ. სალმრე, ი. სობოროვერი, ხ. ვასილიევი, ვ. კამოჩიუსი.**

გამოფენის დიპლომებითა და სამახსოვრო მედლებით დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები **ა. სააკოვი** და სპორტული ფოტოს ვეტერანი, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი სპარტაკიადაზე **მ. ზარგარიანი.** სურათებზე „უკმაყოფილონი" და „ფინიშზე" იმას ხედავთ, რისთვისაც ზარგარიანმა ეს ჯილდო დაიმსახურა.

მოკლედ

- **ბუდაპეშტი.** უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის ემზადება, საკონტროლო მატჩი ითამაშა მინსკის „დინამოსთან" და გაიმარჯვა — 10:2. გოლები გაიტანეს ფაზეკაშმა (4), დუნაიმ, ბენემ (2-2), ზამბომ, იუხასმა, მინსკელებიდან — მალოფეევმა და იურგილევიჩმა.
- **დიუსელდორფი.** მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის მატჩები ათ ქალაქში ჩატარდება. აი, ეს ქალაქებიც: ჰამბურგი, ჰანოვერი, დასავლეთ ბერლინი, ჰელზენკირხენი, დიუსელდორფი, კიოლნი, მაინის ფრანკფურტი, შტუტგარტი, ნიურნბერგი და მიუნხენი.
- **ბელგრადი.** აქ დამთავრდა ტრადიციული „საზაფხულო ტურნირი" იუგოსლავიის წამყვანი გუნდების მონაწილეობით. ყველას აჯობა „ცრვენა ზვეზდამ". მომდევნო ადგილები დაიკავეს „ჰაიდუკმა", „სარაევომ" და „დინამომ" (ზაგრები).
- **ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული ჟურნალისტების რეფერენდუმით ქვეყნის № 1 ფეხბურთელად გამოცხადებულია იენის „კარლ ცაისისა" და ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი პ. დუჩი.
- **მალაგა** (ესპანეთი). წარსულში კარგად ცნობილი მაროკოელი პროფესიონალი ფეხბურთელი ბენ ბარეკი, რომელიც წლების განმავლობაში საფრანგეთის წამყვან კლუბებში თამაშობდა, ამიერიდან „მალაგის" მწვრთნელი იქნება.
- **მელბურნი.** 30 ოქტომბერს იწყება ახალი საერთაშორისო ტურნირი — „ოკეანიის თასის" გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ტაიტის, ახალი კალედონიისა და ფიჯის გუნდები.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გოლი ვერ გაიტანა

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 19.739 კაცი ესწრებოდა უცხოური გუნდების — ბრაზილიის „სანტოსისა" და კოლუმბიის „კალის" მატჩს. ცხადია, მაყურებლები უმთავრესად იმიტომ მოვიდნენ, რომ ენახათ პელე და მისი გატანილი გოლი.

მაგრამ გულშემატკივართა იმედი ნაწილობრივ გამართლდა: მატჩი ფრედ დამთავრდა (2:2), პელემ კი ვერ შეძლო თავისი ტრადიციული გოლის გატანა.

• •

„გიგანტთა მუსვრელი"

ასე უწოდებენ ინგლისის IV ლიგის გუნდ „კოლჩესტერს". ამ კლუბმა ვერაფრით ვერ მოახერხა წლების მანძილზე თუნდაც III ლიგაში გადასვლა. მაგრამ უძლიერეს კლუბებსაც კი სისტემატურად უგებს როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, ისე ინგლისის თასისა და ეგრეთ წოდებული ლიგის თასის გათამაშებებში.

ამ დღეებში დამთავრდა „უოტნის თასის" გათამაშება, რომელშიც ინგლისის ოთხივე პროფესიული ლიგის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. „კოლჩესტერმა" დაამტკიცა „გიგანტთა მუსვრელის" რეპუტაცია. ფინალში იგი შეხვდა ცნობილ კლუბ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს", ძირითადი დრო ფრედ (4:4) დამთავრდა, მაგრამ შემდეგ უკეთ დაარტყა 11-მეტრიანები და საბოლოოდ გაიმარჯვა — 8:7.

• •

მატჩი არ შედგა

საფეხბურთო სეზონი ინგლისში იხსნება ჩემპიონისა და თასის მფლობელის ტრადიციული მატჩით, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ახლა ეს ტრადიცია დაირღვა და მატჩი არ შედგა. რატომ? იმიტომ, რომ ინგლისის ჩემპიონიცა და თასის მფლობელიც ერთიდაიგივე გუნდია — ლონდონის „არსენალი".

ამ მატჩის ნაცვლად გაიმართა II ლიგაში გამარჯვებულ „ლესტერ სიტისა" და თასის ფინალისტ „ლივერპულის" შეხვედრა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ლესტერ სიტიმ".

• •

ჩემპიონატი — ყოველწლიურად

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების კომიტეტმა გადაწყვიტა განაახლოს კონტინენტის პირველობა. ეს შეჯიბრება უწინ სისტემატურად იმართებოდა და დიდ ინტერესსაც იწვევდა, ბოლო წლებში კი რატომღაც დავიწყებას მიეცა.

კომიტეტის დადგენილებით, ეს ტურნირი ყოველწლიურად მორიგეობით გაიმართება სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში.

ბრაზილიამ კენჭი ყარა

რიო-დე-ჟანეირო, 20 აგვისტო. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ გამოაცხადა შესარჩევი ჯგუფების შემადგენლობანი დიდი საერთაშორისო ტურნირისა, რომელიც ამ ქვეყანაში 1972 წლის ივნისში უნდა გაიმართოს და „მცირი მსოფლიო ჩემპიონატად" იწოდება. შეჯიბრებაში 20 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს შესარჩევი თამაშებისგან გაანთავისუფლონ 5 გუნდი — იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონის სახელს ატარებდნენ. ესენი არიან: ბრაზილია, ინგლისი, ურუგვაი, გფრ და იტალია.

დანარჩენი მონაწილენი კენჭისყრით სამ საკვალიფიკაციო ჯგუფად დაიყვნენ (სხვათა შორის, კენჭისყრას ფიფა-ს პრეზიდენტი ს. როუზი ესწრებოდა).

აი, ჯგუფების შემადგენლობანი:

პირველი: არგენტინა, საფრანგეთი, მექსიკა, კოლუმბია, აზიის წარმომადგენელი.

მეორე. სსრ კავშირი, პორტუგალია, ჩილი, ეკვადორი, აფრიკის წარმომადგენელი.

მესამე. იუგოსლავია, პარაგვაი, ვენესუელა, პერუ, ბოლივია.

ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებული სამი გუნდი და წინასწარი თამაშებისგან განთავისუფლებული ხუთი კოლექტივი ორ ნახევარფინალში განაგრძობს ბრძოლას. თითოეულ მათგანში ოთხი გუნდი გამოვა (კენჭისყრით). ნახევარფინალურ ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებულნი (ეს შეჯიბრებები წრიული სისტემით ჩატარდება) გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს „მარაკანის" სტადიონზე.

ბრაზილიის ტურნირის მატჩებს ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტის დანიშნული არბიტრები მოემსახურებიან. ამასთან დაკავშირებით, როუზმა განაცხადა: „ეს ტურნირი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ყველა უწინდელი მსოფლიო ჩემპიონატი და ამიტომ მან ფიფა-ს სრული მხარდაჭერა ჰპოვა".

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ფაკეტის 300 მატჩი

იტალიის ნაკრების ცნობილი მცველი ჯ. ფაკეტი ამ დღეებში თავის მეთორმეტე სეზონს დაიწყებს მილანის „ინტერნაციონალეში", მაგრამ წლებმა დაღი ვერ დაამჩნია ამ გამოჩენილ ფეხბურთელს, რომელიც კვლავინდებურად სწრაფად, ენერგიულად და დიდი ოსტატობით თამაშობს. მან „ინტერის" შემადგენლობაში ზუსტად 300 მატჩი ჩაატარა.

ახლა, როცა იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება, ფაკეტი „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ვარჯიშობს.

რეკორდები

ა. ლაზარევა: 188 სმ!

ორიოლი, 21 აგვისტო. „სპარტაკის" მძლეოსანთა აქ მიმდინარე საკავშირო შეჯიბრებაში მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, 30 წლის ა. ლაზარევამ (მოსკოვის ოლქი) მესამე ცდით 188 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა (უწინდელი მიღწევა — 187 სმ — ლაზარევასა და ტაშკენტელ ვ. ჩულკოვას ეკუთვნოდათ).

ეს შედეგი მესამეა მძლეოსნობის ისტორიაში და მეორე — წლეულს მსოფლიოში.

II ადგილი დაიკავა ნ. ჟდანმა (მოსკოვის ოლქი)—179 სმ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 03028